№ 76 აპრილის 12, პარასკევი. 1866—1885 აპრილის 12, პარასკევი. № 76

„დროები“ს რედაქცია— სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ნელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოცდაშვიდ ნომერად.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უწყვეტელი ადგილი 25 მანეთი; პირველი 50 მან. რიგითი სტრიქონისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის ვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია გერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

digitized by Google

„დროების“ ფასი აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე 7 მ. და 50 კ; სოფლის მასწავლებელთათვის 5 მან. და 50 კ.

წლით ხელის-მოსწერნი ამ წლის ექვსა ნომრებს მიიღებენ.

თავადნი მიხეილ და დიმიტრი ივანეს-ძენი მელიქიშვილნი გულითადს მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთ და მცნობთა თავიანთის ძმის ანდრეა თამარ ივანეს ასულის ჩოლაყაშვილის გარდაცვალებასა, სთხოვენ მობრძანდენ სალამოობით რეა საათზე პანაშვიდის გადასახდელად. (3—1)

ქართული თეატრი

კვირას, აპრილის 15-ს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნებ:

«ცხოვრების თანამგზავრი

ქომედია 5 მოქ. გად. ა. მ. მოჩხუბარიძისა.

შასები ჩვეულებრივია.

დასწყისი 8 საათზე.

შინაური ქრონიკა

== ამ დღეებში გამოვიდა კატალოგი წარმოდგენისათვის ნება-დართულის ქართული დასომხურის მიტეტის თაოსნობით. პიესების რიცხვი არის სულ სამოც-და-თერამეტი და ამათი სია უეჭველია შეცდომით არის შედგენილი. მაგალითად: «ქინტო» კომ. აკ. წერეთლისა სვიმონ წერეთლის თ.ხზულებად არის ჩაწერილი და სხვ. ამას გარდა გამოკლეულია თ. ბ. ერისთავის შემდეგნი თხზულებანი, რომელნიც ვარანცოვის დროიდგან ნება-დართულად ითვლებოდენ, „ლაკა“, «ბაკრა» და სხვ. ომოჩხუბარიძისა—«ალმსრდელები»; თ. დ. ერისთავის—„სამშობლო“, რომლის ნება-დართვა გაზეთს «ეკაზმი» არ დაბეჭდილი, აგრეთვე აკლია კიდევ სხვა მრავალის პიესების სახელები, რადგანაც ეიცით რომ ქართულს რეპერტუარში 400-მდის თხზულება ითვლებოდა და მათგან 300-მდის ნება-დართული იყო. ყველაზედ გასაოცებელი ის არის, რომ ერთის შრომამ მეორის სახელით არის დაბეჭდილი. მაგ. ბ-ნი ნებიერიძის შრომად კატალოგში რამდენიმე პიესა არის ჩაწერილი და მათ შორის თ. დ. ერისთავის ფრანცუზულიდგან გადმოთარგმნილი «პარიქელი ქინტოც»!

შეეველია ამ გვარს შეცდომილებას ყურადღებას მიაქცევენ, და ჩვენის ავტორების უსასყიდლო შრომას სხვა-და-სხვა პირებს ნებას არ მისცემს დაიჩემონ თავიანთ ნაწარმოებად და შემცდარი ახრი შეადგენინონ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ პოლიციისა და წარმომდგენელთ შორის გაუგებლობა არ ჩამოვარდეს, რადგანაც აფიშის შემდგენი თ. ერისთავის ნაწარმოებს ა. ნ—ის თხზულებად ვერ მოიხსენებს და პოლიცია-კი უამისოდ ნებას არ მისცემს.

== ახირებული ავადმყოფობა თუ გინდათ ეს არის! აპრილის 1-ს სოფ. წანეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შესულან ავადმყოფები და გარდა 35 მან. სრულებით არაფრისათვის არ უხლია ხელი «პატიოსან» და სვინიდისიერ ავადმყოფებსა». აი, სხვათა შორის, როგორ გვიანბოლ ამ გაცარცვის გარემოება ერთმა ადმინისტრაციის პირმა: მეორე დღეს შემატყობინეს ეს შემთხვევა და მაშინათვე წავედი ადგილობრივ ეკლესიის გასასინჯად. როგორც დამარწმუნეს ეკლესია შუა კარებიდგან გაეღოთ, რომელიც შიგნიდგან ურდულით (!) ყოფილიყო დაკეტილი, მაგრამ კარებს ნაძალადევი ან სხვა ნაწყვალები სრულებით არ ეტყობოდა და უვნებელი იყოო... პატარა ყუთი, რომელიც საკურთხეველში ინახებოდა, გაეღოთ და ამოეღოთ 35 მან., ყუთში მეტიც აღარა ყოფილიყო-რა; იქვე ყუთთან ეგდო აგრეთვე ერთი პატარა კლიტე: არც ამ კლიტეს ეტყობოდა ნაძალადევი...

== ჩვენს საზოგადოებას უკვე შეტყობილი აქვს, რომ ბატ. ზ-ჩიმ «კეფხის-ტყაოსნისთვის» შედგენილი სურათები გამოგვიგზავნა ასარჩევად. ამ დღეებში ამ საქმის შესახებ გამომცემლისგან მიწვეულნი იყვნენ მცოდნე პირნი და, გარდა ერთის სურათისა, ყველა სურათები მოწონებული და მიღებულნი იქმნენ. ძალიან ლოდ ნელის თორმეტის სურათის მაგივრად, ბატ. ზ-ჩის რჩევით, გარდაწყეტილ იქმნა ამ გამოცემას ოც-და-თოთხმეტი სურათი ჩაეთოს.

== თბილისში დიფტერიტი გაჩნდა; ეს სენი უმეტესად გუკეში ხრის გაკრცელებული და რამდენიმე ბავშვი კიდეც ამსხვერპლოთ. („სოფ. ფ.“)

== ამ დღეებში გამოვიდა კაბეგსიის სამეურნეო საზოგადოებისაგან გამოცემული: «მოკლე სახელმძღვანელო აბრეშუმის ჭიის რიგიანად მოშენებისათვის», თხზულება გერცის დასელოვნებულ მეაბრეშუმეთ დიუქტორის ბ. ბოდესი. სახელმძღვანელოს დამატებული აქვს ორი სურათი, რომელზედაც გამოხატულნი ახრის ავადმყოფი და სადი აბრეშუმის ჭიები.

აღ ნ. ულ სახელმძღვანელოში (ღირს 25 კაპ.) მოკლედ ახრის ნაჩვენები რაციონალური საშუალება აბრეშუმის ჭიის მოვლისა ადგილობრივი ბუნების თვისებისა დაგვარად. გადმოცემი ავადმყოფობა საშინლად ეკეტავს და ეფუჭებს ძიერ კაკასიაში აბრეშუმის ჭიებს.— საკვირველია, რომ ხსენებული სახელმძღვანელო ადგილობრივ ენაზედ გადათარგმნოს, და მით უფრო მეტი შემწეობა მიეცეს ამ საქმეს.

„დროების“ კორესპონდენციები

ქუთაისი, აპრილის 10 ს. წლევანდელმა აღდგომის დღესასწაულმა მეტად უფერულად ჩაიარა; არ ყოფილა ჩვეულებრივი ლხინი და მხიარულება, მხოლოდ სამეკიტნოებში გაისმოდა

სამეგრელო-გუშინ *)

როდესაც მზე გადიწვერა, ქოლიუბიაკინი ხვალონისკენ წავიდა და იქ გაატარა ღამე; მეორე დღეს ზენში გადაეიდა, შემდეგ აბასთუმანში და მესამე დღეს ზუგდიდში ჩავიდა. ყველა მოხსენებულს ადგილებში აჯანყებულები იმყოფებოდენ და მიქავა გენერალისთვის საჭირო იყო. ზოგიერთა ადგილებში ხალხს წინააღმდეგობა უწყოდა გაეწია გენერალისათვის, მაგრამ მიქავა ყველას ამშვიდებდა და გენერალს მორჩილებდენ. ერთს სოფელში, სადაც ქოლიუბიაკინი იმყოფებოდა, გენერალ-გუბერნატორის კანცელიარიის მწარმოებელი ბუზმაკი მივიდა და შეატყობინა ქოლიუბიაკინს, რომ თვით ბაგარინიც მალე მოვალო.

ჩვენ დაწერილებით აღარ ავწერთ სამეგრელოში ქოლიუბიაკინის მოქმედებას. ყველა ადგილებში მის მსგავლას ერთი და იგივე შედეგი ჰქონდა: აჯანყებულები თავთავიანთ სახლებში ბრუნდებოდენ და მშვიდდებოდენ. მავალმა ნ. მ. წარმოუდგინა გენერალს მოტაცებული ქალი, რომელიც თავის ქმარს დაუბრუნა. ქოლიუბიაკინმა დიდი ნდობა მოიპოვა სამეგრელოს ხალხში ამისთანა სამართლიანის მოქმედებით. ბენერალმა მცირე ხანში ასე მალე დაამშვიდა აჯანყებულები იმისთვის, რომ ამისთანა საქმეებში გამოცდილი იყო, როგორც ქუთაისის გუბერნატორი. სამეგრელოს და იმერეთის გლეხები და თავად-აზნაურნი ისე ჰგვანან ერთმანეთს ხასიათით და ჩვეულებებით, რომ გენერალისათვის არაფერი გაუგებარი და გამოურკვეველი არა იყო-რა; მისმა სწრაფად მოსაზრებამ და ენერგიამ ბოლო მოუღო აჯანყებას, მაგრამ სამეგრელოს დედოფალი კი უკმაყოფილო დარჩა მისი მოქმედებით მრავალის მიზეზების გამო.

დედოფალს თავის დღეშიაც არ ეგონა, რომ იარალის უხმარებლად აჯანყებას ასე მალე მოეღებოდა ბოლო. მას ძალიან სწყინდა, როდესაც გაიგო, რომ გენერალმა იარალით კი არა, სიტყვით და გონივრულის განკარგულებით დაამშვიდა ხალხი. დედოფალი მიხვდა, რომ თვითონ ძველს გამგეობის წესს ვეღარ დაუბრუნდებოდა, რადგანაც ქოლიუბიაკინმა საქმეს სრულიად სხვა მიმართულება მისცა: დედოფალს ისეთი გენერალი უნდოდა, რომ იარალით დაამშვიდებინა ხალხი. მას განსაკუთრებით ისა სწყინდა, რომ აჯანყებულთ დამშვიდებაში ჩიქოვანები არ დაიხმარა და მარტო თვითონ დაუწყო გლეხებს და თავად-აზნაურთ ლაპარაკი და ჩააგონა, თუ როგორ უნდა მოქცეოდენ ერთმანეთს, რომ უთანხმობა აღარ ჩამოვარდნილიყო. ამისთანა განკარგულებით თვით დედოფალიც ვალდებული გახადა რიგიანად მოპყრობოდა თავის საკუთარს გლეხებს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, დედოფლის სახლთ-ხუცესის ხრიკებს აღარაკითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა და თვით დედოფალსაც უნდა აეღვიარებინა, რომ სახლთ-ხუცესის მოქმედება გლეხებთან სადედოფლო წისქვილში პურის დაფქვის შესახებ უსამართლობა იყო; დედოფალი ამაზედ არა თანხმდებოდა და იმის აზრით ის გამოდიოდა, რომ ქოლიუბიაკინი არამც თუ ამშვიდებდა ხალხს, არამედ უფრო აჯანყებდა. როგორც წინად მოუთმენელად ელოდა დედოფალი ქუთაისიდამ ქოლიუბიაკინის მოსვლას, ისევ ისეთ-ვე ელოდა ახლა ქუთაისიდამ ბ. ბ. ბაგარინის მოსვლას, ამ ბ. ბ. ბაგარინ-ი ... ...

*) იხილე „დროება“ № 75.

მუშა ხალხის სიმღერა. ამის მიზეზი ცხადია — კოტრობა და უფულობა. ერთმა გარემოებამ გაგვაკვირვა ამ დღესასწაულებზე: ყოველ-ნაირი წარმოდგენა თეატრში და კლუბში არ იყო. ალდგომიდამ ახალ-კვირამდინ. ნუ თუ იმისთვის აღკრძალეს, რომ ხალხი უფრო მიკედლებულიყო სამიკიტნოებს და სხვა-და-სხვა ჯიბის დამაცარიელებელს და ზნეობის გამაფუჭებელს ადგილებს? ამ დროს სხვა ქვეყნებში განგებ მართვენ თეატრებს ხალხისათვის, და ჩვენში კი, არ ვიცით, რა მოსაზრებით იმოქმედეს ამ გვარად? ძნელი მისახდომია.

თეატრები თუ არ გვართობდენ ამ ბედნიერ დღეებში, ცეცხლმა კარგი სიკეთე გვიყო ამ მხრით; ცეცხლი გვართობს კიდეც და ბევრის ჯიბესაც მატებს. თუ ასე ხშირ-ხშირად გვეწვია ეს ზოგიერთებისათვის საპატიო სტუმარი, მაშინ მათი საქმე წალმა დატრიალდება; მაგრამ ვინ იცის — რამდენი უბედურება ჰხდება ცეცხლისაგან. ამბობენ — ერთი ქალი ერთს ღამეს ჭკუაზე შემცდარა შიშისაგან, როცა უეცრად ცეცხლი დაუნახავს გაჩაღებული თავის გარეშემო. მაგრამ ვინ დაეძებს ამაებს; „სხვათა პირიო — ლობეს ჩხირიო“.

სალაპარაკო მასალა-კი ბლომად ჰქონდა ქუთათურებს ამ უკანასკნელ დროს: თ[illegible] სამეგრელოში მეგრული ენა თუ მოსალოდნელი ომი...

ყველა მოუთმენლად მოელის — რით გათავდება ეს ორი საქმე, რითი უნდა გათავდეს? ეს ვიცით ბლომად, რომ მეგრული ენა სამეგრელოს სწავლებაში ფეხს ვერ მოიდგამს და ომზე რა მოგახსენოთ, მე ჯერ «მძართებლობის მოამბეში» არ ჩამიხედნია, — ვერას გეტყვით...

სხვა ახალი ამბები რა მოგახსენოთ. ბ. ქირილე ლორთქიფანიძე ისევ დირექტორად დარჩა ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოების ბანკში და ყვავილმა საკმაოდ იკლო. ხოლერაზე ნეტა თუ ვინმე ფიქრობს? ხოლერის მიკრობებისათვის ნიადაგი მშვენივრად მომზადებული გვაქვს.

ერთი ამბავი კიდევ მოგმისმინეთ: ჩვენი კლუბი საზაფხულოდ სამეფო სახლში გადადის და, როგორც გავიგეთ, გამოუწერიათ ქალების ორკესტრი. რისთვის ქალებისა და არა ვაჟებისა? — აგვიხსნან კლუბის მოთავეებმა.

ქუთათურელი მეგზეტიანე.

დ. სუჯუნა (სენაკის მაზრა) აპრილის 8-ს. ჩვენ სუჯუნელებს ერთი ვინმე კაც-წურბელა გვყავს, რომელსაც ესრედ წოდებული „პარტია“, ახლავს. მთელი სოფელი იმ წურბელას ხელშია: მოურავიც ეს არის და მდივან-ბეგიც. ვაჭრობასაც ეწყობა, იჯარადარიც არის, „მწერალიც“ და შეუბრალებლად სულსა გვიხუთავს. რაც სოფლის სასამართლოები დაწესდა, მას აქეთ სულ მწერლობს; რამდენჯერმე იყო დათხოვნილი მაგრამ მაინც ისე ახერხებს საქმეს თავის პარტიის წყალობით, რომ მამასახლისის გულს იგებს და ყოველთვის სოფელს პირზე მოექცევა ხოლმე. ვინც ერთმანათს მისცემს, განჩინებას თავის სურვილზე შეადგენინებს; ამ განჩინებას სხვაფრივ წაგვიკითხავს ხოლმე, და შიგ-კი სულ სხვა სწერია. ერთი თვე რომ გაიელის, მისის წყალობით გამარჯვებულს გამოაქვს აღსრულებითი ფურცელი და დამარცხებულს მოულოდნელად უწერს ქონებას...

ყვავილი ჩვენშიაც ძალადობს. პირველში ძალიან გაგვიჭირა საქმე, მაგრამ ეხლა მაზრის უფროსის განკარგულების წყალობით შემცირდა, რაკი აგვიცრეს დიდიდან პატარამდის: აცრილს იშვიათად ეყრება ყვავილიდა თუ შეეყარა ადვილად ჰხდილობს.

სუჯუნელი გლეხი.

დავა შუა აზიაში

როდესაც მდ. ქუშკაზე მომხდარის შეტაკების ამბავი მოსულა ბერლინში, გაზ. „Standard“-ის ბერლინელ კორესპონდენტს გაუგონია ერთი წარჩინებული სახელმწიფო კაცისაგან შემდეგი სიტყვები: «ინგლის-რუსეთის შუა ომი, აწინდელი პირობათა მიხედვით, აუცდენელია. ინგლისმა უნდა გამოაცხადოს ომი, თუ რომ მისა ჰსურს დაიცვას ინდოეთი და მისს სახელს გაელენა არ დაეკარგოს აზიაში. უეჭველია, რომ რუსეთის იმპერატორი და მინისტრი ბირსი გულ-მხურვალე მოწადინენი არიან — დაიცვან მშვიდობიანობა; აგრეთვე ჭეშმარიტებაა, რომ გენ. ქომაროვი თვისის ნებით მოქმედებდა, — წინააღმდეგ პეტერბურგიდამ მიღებულის მიწერილობისა, მაგრამ ამ გვარი თავის-ნებობა კიდე მეიძლება განახლდეს. აი, რისთვისაც უნდა ითხოვოს ინგლისმა სრული დაკმაყოფილება, ითხოვოს პირობა, რომ ამ გვარი მოქმედება ალარ განმეორდეს. თუ რუსეთი უარს იტყვის — ინგლისმა უნდა გაილაშქროს მაზედ, მით უფრო, რომ ინგლისის გაელენა მცირეოდნად კიდეც შეფერხდა ხუთასის ავღანელის მოკვლით რუს-ავღანელთ შეტაკების დროს. ბრძოლის ველად აზია იქმნება. ყოველი ძალონე მიღებული იქმნება, რომ ევროპაზე არ იქმნეს გადატანილი ომიანობა, რადგან მას მტარვალური შედეგი მოჰყვება. ამ ჟამად ყოველივე დამოკიდებულია მაზედ, გრძნობს ბლადსტონი იმდენ ძალას, რომ დაიწყოს ომი თუ არა.“

მდ. ქუშკაზე შეტაკების ამბავი მაშინ მისულა ლონდონში, როდესაც თითქმის ყველა მინისტრნი ქალაქს გარედ იყვნენ გასულნიო. ბლადსტონისა და ბრენვილისაკენ იმ წამსვე აფრინესო შიკრიკნი. პირველად ბრენვილი მოვიდა ლონდონში. ნაშუადღევის ორს საათზე მოვიდაო ბლადსტონიც. დაუყოვნებლივ შეიკრიბა მინისტრთა რჩევა. რჩევის დროს ერთიმეორეზე ეგზავნებოდა ტელეგრამები სერ პეტერ ლემსდენს და მინისტრებს განუწყვეტლივ მოსდიოდათ ლენგენში გარეშე სახემწიფოთა და ინდოეთიდგან. ორ-ნახევარი საათი გაგრძელდა რჩევაო.

ამ უკანასკნელ შემთხვევათა დროს არც კოროლევა დაესწრო ლონდონში. მინისტრთა რჩევამ გადასწყვიტა სოხოვოს კოროლევა ვიქტორიას ლონდონში დაბრუნება, რადგან «ავღანის საქმენი» ვერ არიან კარგს მდგომარეობაშიო.

ლონდონიდამ სწერენ გაზ.: „Matin“-ს: „ყოველს წრეს საზოგადოებისას აღელვება ნათლად ეტყობა უკანასკნელ შემთხვევათა გამო ავღანში. მდაბალი ხალხიც არა ნაკლებ აღშფოთებულია. მაგალითად, მუშა ხალხების კონცერტის დროს ჰაიმარკეთში, როდესაც სხვა დროშათა შორის გამოაფინეს რუსის ნაციონალური დროშაც და მომღერალ გუნდმა დაიწყო გალობა რუსის სახალხო ჰიმნისა, ყოველის მხრიდამ მოისმა წინააღმდეგობა; იძულებულნი შეიქმნენ დროშა ჩამოეშვათ და გალობა რუსის სახალხო ჰიმნისა შეეწყვიტათ“.

მოგვყავს დაწერილებითი ცნობანი დ. ბრიტანიის ხმელეთის ჯარისა. საომრად გამზადებულნი არიან: 19 ცხენოსანი პოლკი — 9,089 მეომარით და 5,700 ცხენით, 2 ბრიგადა ცხენოსანი არტილერიისა (13 ბატარეია) — 1,740 მეომ. და 467 ცხ., 4 ბრიგადა მინდვრის ქვეითი არტილერიისა (34 ბატარეია) — 5,080 მეომ., 34 ბატარეია ცხის არტილ. — 4,148 მეომ., 21 როტა ინჟინერების ჯარისა — 1,872 მეომ. და 58 ბატალიონი ქვეითი ჯარისა — 39,158 მეომ.; ამ რიგად ხმელეთის ჯარი დიდ-ბრიტანიისა შესდგება 61,093 მეომარისაგან. — სხვა ზღვის ძალა ინგლისისა, რომელზედაც უმთავრესი ყურადღება აქვს მიპყრობილი ამ სახემწიფოს და

ლას, ისევე მოუთმენელად ელოდა ეხლა სამეგრელოდამ იმის წასვლას.

თავადი ბაგარინი ზუგდიდში ქოლიუბიაკინზედ ადრე მოვიდა და დედოფალმა უამბო მას გლეხების აჯანყების ამბავი და ისიც უთხრა, რომ ქოლიუბიაკინმა კი არ დამიმშვიდა უფრო ამიჯანყა ხალხი; დედოფალმა დაუმატა, რომ მე ყაზახების გამოგზავნა ვსთხოვე და თვითონ ქოლიუბიაკინის მოსელა ჩემთვის საჭირო არ იყო. ამ დაბეზღების გამო ბაგარინმა ქოლიუბიაკინი ცივად მიიღო; ქოლიუბიაკინის სამეგრელოში მისელა დედოფლის დაუკითხავად ბაგარინმა არ მოიწონა. ქოლიუბიაკინთან მიწერილის დედოფლის წერილის შესახებ ბაგარინმა არაფერი იცოდა, თვითონ დედოფალმაც ამაზედ არაფერი უთხრა. ბაგარინმა თუმცა მადლობა გამოუცხადა ქოლიუბიაკინს აჯანყებული ხალხის დამშვიდებისათვის, მაგრამ ისიც უთხრა, რომ დედოფალი შენზედ უკმაყოფილოდ არის, რადგანაც ხალხი კი არ დაგიმშვიდებია, უფრო აგიჯანყებიაო.

ძნელად წარმოსადგენია, რა რიგ ააღელვა ქოლიუბიაკინი ამ გარემოებამ; იგი მაშინვე წავიდა დედოფალთან და საყვედურით უთხრა, რომ ამისთანა ამბავს თქვენგან არ მოველოდიო; შემდეგ ქოლიუბიაკინი ჭუთაისში წავიდა.

დაბრუნებამდის სამი დღის წინად ქოლიუბიაკინისაგან წერილი მივიღე: „აქ ყოველივე საქმე ისე თავდება, როგორც მინდოდა; მაგრამ დიდი არეულობა კი იყო. დღეს ან ხვალ ბაგარინს მოველი და იმედი მაქვს ჭუთაისში მალე დაებრუნდები. . . . . .*)

*) ნამდვილშიაც წერტილებია.

სახლი მომიმზადე და გუშაგიც დაიბარე. ნიკ. ქოლიუბიაკინი. ივნისის 25-ს, 1857 წ., აბას-თუმანი.“

მე სახლი მოვუმზადე გენერალს და მოუთმენელად მოველოდი ძის მოსელას. ბოლოს იგი მოვიდა რაფიელ ერისთავთან ერთად და იმავე ღამეს შეეტყე დაწერილებით ყოველივე ის ამბავი, რომელსაც აქ ვწერ. ქოლიუბიაკინი ძალიან აღელვებული იყო და უფრო იმახედ ჯავრობდა, რომ დედოფალი უარს ჰყოფდა - მე ქოლიუბიაკინი სამეგრელოში არ დამიბარებიაო. ჩვენ დავუწყეთ დედოფლის წერილს ძებნა, მაგრამ ველარ ვიპოვეთ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ არც შეიძლებოდა მისი პოვნა, რადგანაც რამდენიმე წლის შემდეგ წიგნის მომტანი მიქაძე გამოტყდა, რომ წერილისაგან მომხდარს აყალ-მაყალის დროს ის წერილი ისევ მას აელო და ჭვაშიხოში რომ მისულიყო, კნეინასათვის გადაეცა.

საღამოზედ, ჩვეულებისამებრ, აკოფოვი ქოლიუბიაკინთან მოვიდა და როდესაც საქმის გარემოება გაიგო, ბუნუთი მოსწია, დიდხანს ჩუმად იყო და ბოლოს სთქვა:

— ხომ არა მცემ, ნიკოლოზ პეტრეს ძე, მე რომ ჩემი სიტყვები მოგაგონო... აკი გეუბნებოდი — ნუ წახვალ მეთქი. რა შენი საქმე იყო — შენ ჭუთაის...

— ბაჩუმდი, თორემ გცემ... შენ სულელი ხარ და არ იცი, რომ საქმე ჯერ არ გათავებულა და უჩემოდ ვერც არას გაარიგებენ. მაგრამ რა დროს ამეებზედ ლაპარაკია, აი, უფრო კარგი... ალექსი მოიტა სტოლი და სათამაშო ქალალდი. ბატონებო! ერთხელაც არის მაინც მოვუგოთ აკოფოვს ფული.

რომელიც დიდად აღემატება მისს ხმელეთის ძალის რიცხვს.

ოსმალეთი. რადგანაც მაჰდი ცხადად წინააღუდგა ხონთქრის საერო და სასულიერო ხემწიფებას და ეძიება მის ხარისხს ხალიფისას, ოსმალეთის მთავრობამ გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ ცრუ-წინასწარმეტყველი არღვევს ისლამის საფუძველთა, მოქმედებს პადიშაჰის აზრისა და მშვიდობიანურის მეხედულობათა წინააღმდეგ და პროკლამაცია-კი გამოსცა ხონთქრის ხემწიფების შესაფერხებლად. ამის გამო, პორტა დარწმუნებულია — ყოველი მაჰმადიანი იმაღ მიიღებს მაჰდის, რაც ნამდვილად არის იგი — ესე იგი მოღალატედ და ავაზაკთა გუნდის წინამძღვრად. ოსმალეთის მთავრობა არ ჰკარგავს იმედს, რომ არაბნიც, სხვა მაჰმადიანთა კვალობაზე, ზიზღით შეუქცევენ ზურგს ცრუ-ცინასწარმეტყველს.

სპარსეთი. თეირანიდამ აცნობებენ «რეიტერის სააგენტოს», რომ სპარსეთის მმართებლობამ დაატუსაღა მიუბ-ხანი, გარდაცვლილის შირ-ალის შვილი, რომელიც რუსეთის მომხრედ ითვლებოდა. შაჰის მმართებლობას მიუბ-ხანის დატუსაღების საბაბად მოჰყავს ის გარემოება, რომ მას გაეგოს ვითომც ხსენებულის ხანის განზრახვა იდუმლად გასვლისა თეირანიდამ. დღემდე ავღანის პრინცი მიუბ-ხანი თეირანში სცხოვრებდა და შაჰის მმართებლობა არ უშვებდა მას ამ ქალაქიდამ, რადგან მიუბი სცდილობდა ავღანის ტახტი ეგდო ხელთ და ამით შეიძლება ავღანში აჯანყებაც მოეხდინა. თეირანელი კორესპონდენტი იწერება, რომ რუსის მთავრობა გამოესარჩლა მიუბ-ხანსაო და შუამდგომლობს მისთვის შაჰის წინაშეო. კორესპონდენტის სიტყვით სპარსეთმა მიუბ ხანის დატუსაღებით აღასრულა ინგლისის წადილიო.

ჰერათი

ერთ საუკეთესო ქალაქად საშუალო-აზიაში ითვლება ჰერათი. სივრცითაც ჰერათს მეშხედის შემდეგ პირველი ალაგი უჭირავს შუა-აზიაში. მაღალი კედელი და ღრმა რუ გარს-არტყია ჰერათს, მაგრამ ევროპიულის ჯარის წინააღმდეგ ვერას გახდებიან ეს სიმაგრენი, რადგან ჰერათს მცირე მანძილზე გარს უვლის მთა-გორები, საიდამაც ჯარს შეუძლიან სროლა გაუმართოს ქალაქს.

თითქმის უხსოვარის დროიდამ ჰერათი ითვლება ერთს უმდიდრეს ქალაქად ცენტრალურ-აზიაში. ორმოც-და ათჯერ აუღიათ ეს ქალაქი, ორ-მოც-და ათჯერ დაუქცევიათ და ორ-მოც-და ათჯერ განახლებულა, განწყობილა — ამბობს ერთი სპარსელი გეოგრაფი. მეექვსესის წლის წინად ჰერათში იყო 12,000 დუქანი, 6,000 აბანო, ქარვასლა და ქარის წისქვილი, 350 სკოლა და მონასტერი და 144,000 სადგომი სახლები. ჩინგის-ხანმა რო აზია დაიპყრო, ჰერათზე ორჯერ მიუიდენ იერიშით იმ დროს. ამ ორმა იერიშმა იმსხვერპლა მილიონ-ნახევარი კაცი. დიდს ხანს არ გაუვლია და ჰერათი ხელ-ახლად აყვავდა. ყოველ სარდალს, რომელიც ინდოეთზე გაილაშქრებდა, ალექსანდრე დიდიდამ დაწყებული, ჰერათი მიაჩნდა ერთად-ერთ კლიტედ ინდოეთისაკენ. 1873 წელს მაჰომედ-შაჰი 40,000 ჯარით და 60 ზარბაზნით მიადგა ჰერათს. ამ ჯარში ერია ბევრი რუსის აფიცრები, რომელნიც ჰერათზე იერიშით მისვლაში ხელმძღვანელობას უწევდენ ამ დიდს ჯარს მაჰომედ-შაისას. ამ დროს, შემთხვევით მოხვდა იქ ახალგაზდა ინგლისელი აფიცერი, რომელიც ნატურალისტურს გამოკვლევათ ახდენდა. მან დაიყოლა ავღანელები, რომ მისთვის მიენდოთ ჰერათის დაცვა. ავღანელები დასთანხმდენ და ხუთი თვის უნაყოფო ომის შემდეგ სპარსნი იძულებულნი შეიქმნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. როგორც ეს ომი სპარსელებისა და აგრეთვე მიუბ-ხანის გალაშქრება 1880 წ. უკეთესი დამტკიცებაა იმის, რომ ჰერათია ერთად-ერთი გზა ინდოეთზე, რომ ჰერათის ხელში ჩაგდებისათანავე მტერს გაეხსნება გზა ინდოეთისაკენ. ჰერათს როგორც მდიდარს მხარეში მდებარე ქალაქს დიდი უპირატესობა აქვს კიდევ იმ მხრით, რომ მას 100,000 ჯარის შენახვა — გამოკვება შეუძლია, სანამ ეს ჯარი ინდოეთისკენ გაილაშქრებდეს. კასპიის ზღვისა და ჰერათის შუა და აგრეთვე ჰერათისა და ინდოეთის შუა არ მოიპოვება ჰერათისებური მდიდარი, უხვი მდებარეობა. თვისი ჯარი ყოველმა სარდალმა, რომელიც ინდოეთზე ლაშქრად მიდის, უეჭველად ჰერათში უნდა დააბანაკოს, რადგან აქეთ უხვ ბუნებიანს მდებარეობას ძვირადღა შეხვდება მთელს გზაზედ ინდოეთისკენ. რუკაზე ჰერათის ჩრდილოეთით მოსჩანს პარაპამიზის მთა-გრეხილი. ჰფიქრობდენ, რომ ჰერათისათვის ბუნებრივს საფარს შეადგენსო ეს მთა-გრეხილი, მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა. ამ მთა-გრეხილზე აუარებელი გასავლები აღმოჩნდენ, და ყველა ამათი გამაგრება დიდს სიძნელეს შეადგენს.

რუსეთი

«Русск. Кур». გვაუწყებს, რომ როდესაც მოქმედებას დაიწყობს ფინანსთა მინისტრის პროექტი ფულის შემოსავლიდამ ხარჯის აღების შესახებ, ამ გადასახადისაგან განთავისუფლებულნი იქნებიან: ა) სახემწიფო ხაზინა; ბ) უცხო ქვეყნების მისიების მოსამსახურე პირნი, მათი სახლობის წევრნი, ჩინოვნიკები და მოსამსახურეები, აგრეთვე უცხო ქვეყნების ელჩები; გ) პირნი, რომელთაც მუშაობა არ შეუძლიანთ და რომელთ ფულის შემოსავალი, სხვა შემოსავლის უქონლობის გამო, არ აღემატება აღნიშნულს ნორმას, დაწესებულს განსაკუთრებითი წესებით; დ) შემოსავალი საქველ-მოქმედო საზოგადოებათა, სკოლებისა და დამხმარებელი კასებისა, რომელნიც მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, აგრეთვე დაწესებულებანი, რომელთაც საგნად ქრისტიანობის გავრცელება აქვთ, თუ რომ შემოსავლის მოკლებით მათი მოქმედება შემცირდება. ამას გარდა ეს ახალი ხარჯი ნახევრად შეუმცირდებათ ქვრივებს და მცირე წლოვან ობლებს, რომელთა შემოსავალი აღნიშნულს ნორმას იმ პირობებით არ აღემატება; თუ რომ სხვა რომელიმე მათი შემოსავალიც არ აღემატება ნორმას, დადგენილს განსაკუთრებითი წესებით.

—

ახალი საგუშაო წესდების პროექტი შეუდგენიათ კიდეც და მოკლეს ხანში გადაეცემა გასასინჯავად იუსტიციის სამინისტროს და შემდეგ სახელმწიფო რჩევას.

წერილი რედაქტორთან.

ჩვენა ვართ დროებით ვალდებულნი გლეხნი გარდაცვალებული ალექსანდრე ჩერქეზიშვილისა, რომლისაგანაც გვაქვს სოფელ ქულბითში ნადელი. რადგან სასარგებლოდ დავინახეთ ამ მამულის შესყიდვა, ჩვენ ვიკისრეთ ყოველივე ხარჯი შესყიდვის პირობების შედგენისა და კომლზედ ხუთ ხუთი მანეთი მივართვით ბატონ ი. მ—ს ამ საქმისათვის. ამან მიიღო 45 მანეთი, შარშან წაბძანდა ქალაქს, სადაც შესულა სამსახურში და კარგი ჯამაგირიცა აქვს. ვსთხოვთ ბ. მ—ს ან 45 მანათი დაგვიბრუნოს, ან შეგვიდგინოს დაპირებული პირობები, რადგან ჩვენ მეორე ხარჯის გაღების თავი არა გვაქვს.

გლეხნი: ბაბო ტატიური, ვანო ბელელური, ეფრემა ბუგუტიშვილი, ლექსო ხიზანაშვილი, ეფრემა სვიმონაშვილი.

აპრილის 8-ს.

ტელეგრამები

,,ჩრდილოეთის სააგენტოსი''.

აპრილის 10-ს.

ლონდონი. მოთხოვნილ იქმნა კრედიტი 11 მილ. გირვანქა სტერლ., აქედამ $4^{1}/_{2}$ მილ. — სუდანისათვის, ხოლო $6^{1}/_{2}$ მილიონი სხვა მომზადებათათვის.

ლემსდენი თავის ტელეგრამაში ამბობს, რომ გენერალ კომაროვის მოხსენება პენჯდეზედ იერიშის მისვლის თაობაზედ სიმართლეს მოკლებულიაო; [illegible] ცებს, რომ მარცხენა [illegible] ბუშკისა ყოველთვის ავღანელებს ეკუთვნოდაო; პოზიცია ხიდის მახლობლად კომაროვის მისვლამდე უკვე დაჭერილი იყო ავღანელებისაგან თვით მარტის 5-ს შემდგარს მორიგებამდე; რომ რუსებმა გამოიწვიეს შეტაკება რაკი ავღანელები იძულებულნი შეიქმნენ გამაგრებულიყვნენ და რომ მშვიდობიანობა მთელის ორის თვის განმავლობაში მხოლოდ ავღანელებისაგან დათმობის წყალობით იქმნა დაცულიო.

ვენა. ინდოეთის ვიცე-კოროლი იმუქრება, რომ თუ ავღანელების საქმეში რუსებს რაიმე დაეთმო, სამსახურს თავს დავანებებო.

ლონდონი. მინისტრთა რჩევას გუშინდელს სხდომაზედ ჰქონდა მსჯელობა ლემსდენისაგან მიღებულის ტელეგრამის შესახებ. სხდომის დახურვის შემდეგ პეტერბურგში იქმნა გაგზავნილი დეპეშა, რომელშიაც, როგორც გაზ. ,,Standard''-ი ამბობს, მოხსენებულია, რომ აღ-თაფას ბრძოლაში ჩხუბის ამტეხნი იყვნენ თვითონ რუსებიო. ამის გამო ინგლისის მმართებლობა იძულებულია, განმეორებით მოსთხოვოს რუსეთს, რათა მან აღიაროს, რომ არ თანაუგრძნობს კომაროვის მოქმედებას. გაზ. ,,Daily News'' ამბობს, რომ ლემსდენისაგან მიღებული ტელეგრამა ეხლანდელს გაჭირებულს მდგომარეობას უფრო საშიშს ხასიათს აძლევს, ვიდრე აქამდე იყოვო; ინგლისი მოელის პეტერბურგიდამ უფრო ვრცელს და საფუძვლიანს განმარტებას, ვიდრე ის ცნობანი, რომელნიც აქამდის მიღებულნი იყვნენ კომაროვის მოქმედების თაობაზედ ინგლისის მომხრეთა შესახებ.

აპრილის 11-ს.

პეტერბურგი. გუშინ ფელდის გამოღებით მეგობრული სადილი გაუმართეს სტუმარ-სლავიანებს. პირველი სადღეგრძელო ხემწიფე იმპერატორისა იყო, რომელიც უარს ძახილით მიიღეს.

,,Journal de St-Pétersbourg'' ლაპარაკობს ლემსდენის უკანასკნელს მოხსენებაზედ, რომელიც დაფუძნებულია, როგორც თვითონ გლადსტონმა სთქვა, ავღანელების ჩვენებაზედ და ამბობს

შემდეგს: თუ ამ დოკუმენტით თითქო უნდა გაამტკიცონ გენერალ კომაროვის მოხსენების ცნობილი ადგილები — თუმცა ეს მოხსენება სრული და ცხადი იყო, — მაშინ გლადსტონს ნუ გაუკვირდება, რომ რუსეთის მთავრობა დამყარდეს თავის გენერლების მოხსენებაზედ. ხსენებულს გაზეთის მავნებელად მიაჩნია ამისთანა უმნიშვნელო საგანზედ კამათობის ატეხა. უკეთესი იქნებოდაო, რომ საბოლოოდ გადაწყვეტილიყო სამზღვრების საქმე. რაც შეეხებაო ომისათვის კრედიტის მოთხოვნას პარლამენტისაგან, დეე ინგლისმა იმდენლვაროს, ეგ იმის საქმეა; რუსეთი კი დამშვიდებულია, თუმცა გრძნობს სამძიმო მდგომარეობას და მოახერხებს შესაფერი ფონის ძიების მიღებას. გაზეთი ბოლოს ამბობს: ბედნიერად ჩავთვლიდით ჩვენ თავსაო, თუ გრენვილის სურვილი ასრულდებოდა ყველა სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირი დაცულ იქმნებოდა და უთანხმოება მშვიდობით გათავდებოდაო.

ლონდონი. გლადსტონმა შეატყობინა საზოგადოებათა პალატას, რომ არ მიგვიღია არაფერი ამბავი გერმანიის, ავსტრიის და საფრანგეთისაგან იმის შესახებ, ვითომც მათ მოეთხოვოთ ოსმალეთისაგან დარდანელის სრუტეს შეკვრა.

ბელგრადი. სკუპშჩინამ მიიღო ადრესი სატახტო სიტყვის პასუხად ამ ადრესში მოხსენებულია მეგობრულს დამოკიდებულებაზედ ყველა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ავსტრიასთან და რუმინიასთან; ამასთანავე ადრესი იხსენიებს უთანხმოებას ბოლგარიასთან და აცხადებს იმედს, რომ მთავრობა შემდეგშიაც დაიცვავს სერბიის სახელს.

ათინა. კაბინეთმა დათხოვნის ქაღალდი შეიტანა, რადგან ამორჩევებს მისთვის არა სასიამოვნო შედეგი ჰქონდა.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გირეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოტროტნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფაროსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქმისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამეურნეოლოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სასოგრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 სათიდან 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამეურნეოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი — 8 საათიდან 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი — 9-დან 10-საათამდე შინაგან ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი — 10—11 საათამდე. — საირურგო, საესიოლისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლინდოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამეურნეოდან პარათი ექმნებათ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდან 1 მაისამდე 1885 წ.

გამოტეხვარი პური რუსეთის ფქვილისა	—	—1	გირ. 5 გ.
აქურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა	—	—1	გ. $2^1/_2$
მეორისა	—	—1	გ. 2 გ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამოტეხვარი.			
პირველი ხარისხის	—	—1	გ. $4^1/_2$
მეორისა	—	—1	გ. 3 გ.
მესამისა	—	—1	გ. $2^1/_2$
ჯვარის-მამი პური:			
პირველი ხარის. დაკაში		1	გ. $4^1/_2$
მეორის ხარის. დაკაში		1	გ. $3^1/_2$
მესამისა	—	—1	გ. 3 გ.
ძროხის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—	—1	გ. 9 გ.
მეორისა	—	—1	გ. 8 გ.
სუკი	. . .	—1	გ. 16 გ.
ცხვრის ხორცი		—1	გ. 10 გ.
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხისა		—1	გ.
მეორისა	—	—1	გ.

რკინის გზა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდან მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ⚓ ბათუმიდან მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდან მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდან მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

კბილის ექიმი-ქალი
ვ. ს. როზენბერგისა

აცადმყოფებს ეიღებ ყოველ-დღე 10-დამ — 2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. ადრესი: ერევნის მოედანი, ნ. 3. ზუბალოვის სახლი, მებელიანი ოთახები: იმპერიადი, სადგომი მე 2 №, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ. (3—3)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მეძკვიდრეთა მაღაზიაში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ და-პირ საკუთარ შენობაში. (14—8)

ჰურჰელი! ჰურჰელი! ჰურჰელი!!!

ძალიან ბევრია ინგლისის მაღაზიაში. იქვე ისყიდება ძალიან იაფად ერთი ნაჭერი მიწა მტკვრის პირზედ. (10—10)

ინგლისური რკინის ტრაპეზი.



ერთის სიწოლი 6 მანეთიდგან და ორის სიწოლი 10 მანეთიდგან, მათი დეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკერავი, საშაქრე, კოვზები, შეფიდის დანები ჩანგლებით, სამარილებელები, დასადგმელი ბირის სანები, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყალ, სკები, რიუმკები, საქაშურეთებშები, ბალიშები, სასალათეები, ტაშტები, საჩეკეები, სამარილეები, კარბიცის საფხეკები, ბრობის ამოსადები, ბრობეები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ადვირები, ხელისტები, ტანისამოსის დასაკიდებელები, სანაღ მაკრატელები, ჯაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიუები, ზარიდები, კასრიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერბრუჭი, სანები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კომფეტები, ბიგულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—13)

გრ. ჩარკვიანის
ქართული წიგნის მაღაზიაში
ისყიდება ყოველგვარი
ქართული წიგნები.

სხვათა შორის ამ მაღაზიამ შეიძინა რამდენიმე წიგნი.

„ბავშვების მოელა“ თხზ. ქომბისა თარგმ. ეას. მაჩაბლისა ფასი 1 მანათი.

«ორნიკე ერისთავი» თხზ. აკაკისა — ფასი 1 მან.

«საყმაწვილო ამბები» თხზ. მისივე — ფასი 40 კაპ.,

«ბადია» საყმაწვილო წიგნი მისივე — ფასი 15 კ. (3—3)

შოკოლადი
ს. სიუ და კო.
(Ц. 2542). (46—10)

Доз. ценз. Тифлисъ, 11 Апреля 1885 г. სტამბა ა. ა. ალამეკიანისა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.